**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# ბარგისუხუცესი

ბარგისუხუცესი, მეფის აღალის, მეტადრე მისი „სასაგებლე“ ნაწილის უფროსი შუა საუკ. საქართველოში ეკუთვნოდა მსახურთუხუცესის უწყებას, უშუალოდ კი მესაწოლეთუხუცესს ექვემდებარებოდა. მგზავრობის დროს შუა აღალში „სასაგებელს“ მიუძღოდა.

*წყარო:* ჴელმწიფის კარის გარიგება, წგ.: ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970, გვ. 37, 100, 173.

***დ. ფურცელაძე***